# ივერია

გაზეთის ფასი

| თვეზე | მან. | კ. | თვეზე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტფილისში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანკოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში-სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890



## Отъ конторыредакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

მეტერინე ესტატეს ასული, ზაქარია დიმიტრის ძე, აბრამ და ალექსი ქრისტეფორეს ძენი ჩიქოვანები, ელისაბედ დიმიტრის ასული გედევანიშვილისა და ნინო დიმიტრის ასული ბერელაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებას: პირველი მეუღლისას, მეორე მამისას მესამენი ძმისას და უკანასკნელნიც მამისას, დიმიტრი ქრისტეფორეს ძის ჩიქოვანისას, და სთხოვენ ნაცნობთა და ნათესავთ მობრძანდნენ მიცვალებულის გვამის გასვენებაზედ საკუთარ სახლიდგან წმ. მარინეს ეკკლესიაში 19 აგვისტოს, დილის 9 საათზედ. (2—1)

## სასწავლებელი და პანსიონი
### ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, გარანცოვის მგელის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება. (18—2)


ტფილისი, 17 აგვისტო

მას აქეთ, რაც ქრისტეფორე კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა, ამ ქვეყნის ბედი ძირეულად შეიცვალა: ევროპიელები ასობით და ათასობით მიესივნენ ახალს ქვეყანას და ისაკუთრებდნენ ძალ-მომრეობით ამერიკის მამულებსა და მიწა-წყალს. გაუნათლებელმა მკვიდრმა ვერ შესძლო მკაცრ და მეუპოვარ ევროპიელთან დიდხანს ბრძოლა და თითქმის სრულიად ამოსწყდა და გადაშენდა. ბევრი მათგანი მოიდნო ევროპიელების ტყვიამ, ბევრი ევროპიდგან შეტანილმა გადამდებმა სენმა და ბევრიც მაგარმა სასმელმა. ამას გარდა მკვიდრთა რიცხვი მეტად მცირე იყო, ასე რომ დაბურული ტყეები და თვალ-გადუწვდენელი პოხიერი ველ-მინდვრები უპატრონოდ ეყარა და იმათი მომხმარებელი გამომყენებელი დიდხანს არსად იყო. პირველ ხანებში მიწის ღირსების მცოდნე ევროპიელებმაც ყურადღება არ მიაქციეს ამ ძვირფასს განძს. ისინი მარტო იმის ფიქრსა და ზრუნვაში იყვნენ, რომ მალე ბლომად ოქრო და ვერცხლი შევაგროვოთ, გავმდიდრდეთ და გავწიოთ ისევ ევროპისაკენ, სადაც ამ ფულისა უფრო რიგიანად მოხმარები შეიძლება, ვიდრე ველურ და განადირებულ ამერიკაშიო. მართლაც ევროპიელებმა ოქრო და ვერცხლი, რომლის მოხმარებაც ამერიკის მკვიდრთ არ იცოდნენ, ბევრი გამოჰზიდეს. ხარბი ევროპიელები, დიდი და პატარა, ამერიკას იმ იმედით მიაწყდნენ, რომ ორ-სამს წელიწადს ფულიანი კაცები შევიქნებით, ქონებას შევიძენთო. მაგრამ ოქრო და ვერცხლი მალე გამოილია, თანდათან გაჭირდა იმისი მოპოვება და დიდი შრომა და ჯაფა სჭირდებოდა. მეტი ჩარა არ იყო, ევროპიელს კაცს ამერიკაშიაც ისევე შრომა უნდა დაეწყო, ისევე ოფლი უნდა ელვარა ლუკმა პურის მოსაპოვებლად, როგორც სამშობლოში. დიდს ხეირს მაინც ხომ არც სამშობლოში დაბრუნება უქადდა: იქ აღარაფერი ებადა, ყველაფერი მიყიდ-მოყიდული ჰქონდა. მეტი ღონე არ იყო, მიწის შემუშავებისთვის უნდა მიეყო ხელი, და მიჰყო კიდეც. მაგრამ ერთი გარემოება-კი მეტად უშლიდა ხელს ევროპიელს. საშუალ და სამხრეთ ამერიკაში მეტად ცხელოდა და ევროპიელი-კი ვერ უძლებდა ამ გვარ პაპანაქებას, შრომას ვერ ახერხებდა.

სწორეთ ამ დროს ის აზრი გამოითქვა, რომ იმ ქვეყნის მკვიდრი, სადაც ისევე ცხელა, როგორც ამერიკაში, ადვილად შესძლებს მუშაობასაო. ამისთანა ქვეყანა იყო აფრიკა, სადაც ბინადრობდა გაუნათლებელი შავ-კანიანი ერი ზანგის მოდგმისა, ანუ ნეგრობა. მართლაც ნეგრებმა მშვენიერად აიტანეს საშუალ ამერიკის ცხელი ჰავა და რიგიანადაც ჰმუშაობდნენ პაპანაქებაში.

აი სწორედ ამ დროდგან იწყება საზიზღარი და, ადმიანის ღირსების დამამცირებელი ნადირობა და ტყვევება ზანგებისა. ათასობით მიცურავდა აფრიკისაკენ განათლებულ ევროპიელების, პორტუგალიელებისა, ჰოლანდიელებისა, ისპანიელებისა და სხვათა გემი, საომრად აღჭურვილი, მოედებოდნენ აფრიკის უდაბურ ველ-მინდვრებს და თხებივით იჭერდნენ საცოდავს ტიტველა ზანგებს. ამ გვარად დატყვევებულ მონებს ხელ-ფეხს მაგრად უბოჭავდნენ თოკით, ჰყრიდნენ ხომალდებში უბრალო სავაჭრო საქონელსავით და მიჰქონდათ ამერიკისაკენ, სადაც დიდ მემამულეებს, ანუ პლანტატორებზედ ჰყიდდნენ და პლანტატორები მეტის-მეტად სასტიკად ეპყრობოდნენ მონებს, ისე უცქეროდნენ, როგორც პირუტყვს, დედას შვილთან არ აყენებდნენ, ქმარს ცოლთან, სულ უბრალო ურჩობისთვის ქმარს ცოლს გაუყიდდნენ ხოლმე და დედას შვილს. ერთის სიტყვით, ძნელად აიწერება, რა მწუხარება და ტანჯვა გამოიარეს ზანგებმა ამერიკაში მონობის მოსპობამდის, და ჩვენც შევჩერდებით.

ამ გვარი ბარბაროსობა და მტარვალობა ჰსუფევდა განათლებულ ევროპის სახელმწიფოების სამფლობელოში მეთვრამეტე საუკუნის გასვლამდე. საცოდავ შავ-კანიანის მონებისათვის აგრე რიგად [illegible] ორიოლა გულ კეთილი და კაცთ-მოყვარე მისიონერის გარდა. მაგრამ დადგა მეცხრამეტე საუკუნე და სულ სხვა სიომ დაჰბერა ევროპას. გაისმა მძლავრი ხმა ერთობისა, ძმობისა და თავისუფლებისა, ეს მცნება, საფრანგეთის დიდის რევოლიუციის შემდეგ წინ წამომდგარი, მთელს ევროპას მოეფინა და მართლაც მალე სხვა-და-სხვა დროს ევროპის სახელმწიფოებმა სრულიად მოსპეს მონობა. ამერიკაში-კი ზანგებმა სრული პოლიტიკური თავისუფლება მოიპოვეს.

მხოლოდ მონობა დარჩა აფრიკაში და თით-ოროლა აზიის სახელმწიფოში, და ეს გარემოება ბევრს კაცთ-მოყვარე ევროპის მოღვაწეს აწუხებდა და სირცხვილით სწვავდა, რომ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ჯერ კიდევ მონობა არსებობს და არაკადაც-კი არ არის გადაქცეული იმისი სახსენებელიო. ამიტომაც ამას წინად ქ. ბრიუსელში შეიკრიბა კონფერენცია, რომელმაც თითქმის რვა თვე მოანდომა იმას, თუ რა ღონე უნდა ვიღონოთ და რა საშუალება ვიხმაროთ მონობის მოსასპობადაო. სწორედ რომ დროც იყო მოჰქმედებოდა ბოლო იმ საზიზღარს ვაჭრობას მონებით, რომელიც აოხრებდა და ამტუტებდა აფრიკას. კონფერენცია დასასრულ იმ აზრს დაადგა (იხ. „С. Вѣст." № 7), რომ: 1) შემოღებულ იქმნას რიგიანი სამხედრო, სამოსამართლო და საადმინისტრაციო წესები აფრიკის იმ ქვეყნებში, რომელიც-კი ევროპის სახელმწიფოებს ეკუთვნის და ან რომელსაც ევროპის სახელმწიფოები ჰქავს მფარველად; 2) [illegible]

# ფელეტონი

## მოგონება*)

წავიდა დედა და დავრჩი მარტო. გაფაციცებით ვიგონებდი იმ წამებს, როცა-კი მე და ზეზიას ერთად გვილაპარაკნია. ყოველს იმის ნათქვამს, ყოველს იმის სიტყვის კილოსა და სახის გამომეტყველებას ათას გვარად ვზომავდი და ვწონავდი ჩემს გონებაში. ამით მინდოდა გამეგო: მართლა ვუყვარდი, თუ არა. და ბოლოს ის დასკვნა გამოვიყვანე, რომ ზეზიას გაგიჟებით უნდა ვყვარებოდი. „პირველი ესა, რომ ისეც თეთრი იასავით მინაზებული ზეზია, უფრო მიილია, რაც მე რუსეთიდგან მოვედი, ვფიქრობდი: მეორეც ესა, რომ როცა-კი დამინახავს ხოლმე, რაღაცა ემართება და ხან ენაც-კი ებმება მეტის გულის მღელვარებისაგან; მესამეც ესა, რომ ამას წინად ჩემის პოემის სიტყვები: „შენა ხარ ჩემი ღვთაება, ჩემთვის სამოთხედ შობილი, მე შენთვის ვსტირი დღე და ღამ, შენთვის გულ-ლახვარ-სობილი"—ჩემსავე ხელ-ნაწერ დრამის პირველ გვერდზედ დაეწერა მწვანე მელნით; და მეოთხეც ეს, გუშინ ჩვენი გოგო მალუცი დედას უამბობდა: „იმ დღეს, მთვარიანს ღამეში, იგეთის ტკბილისა და მწუხარე ხმით მღეროდა ჩვენის იამზეს ოსტატი ზეზია თავიანთ შემოქანდრულ ბალკონზე:

მეც დავილიე შენსავით, მთვარევ,  
და ვით სანთელი ვიწვი და ვდნები;  
შენ მაინც უთხარ, რომ შემიბრალოს:  
მე იმისი ვარ და მისთვის ვკვდები!  
ვეღარ გავუძლებ ჭირსა და ნაღველს:  
მწარე სიცოცხლეს ამისთანასა,  
თუ ის გამწირავს, მთვარევ, იცოდე:  
გულში დავიცემ ალმასს დანასა!

რომ ტირილი მომდიოდა. ო, სულო ჩემო, დასტკბი, ზეცამ დღეს შემიბრალა, მან ჯოჯოხეთი ნეტარების ზღვარად შემიცვალა!.. ასე ვღუღუნებდი ჩემთვის და თავ-დავიწყებული ვცურავდი ფუფუნების ტალღებში ძლიერის სიყვარულის გრძნობით ძლიერად დამთვრალი.

—ტიტო! ტიტიკო! ტიიიტოოო'.. შემომესმა ჩემის დის იამზეს წკრიალა ხმა და გამომფხიზლდა. დამინახა თუ არა, მალხაზა ჩიტივით გამოსრიალდა ჩემსკენ, ჩამეკრა გულში და ცელქურის ხტუნვით დამძახოდა ტკბილის ოცნებით გაბრუებულს: «რა იქენ აქამდის, ჰა?! ადე! ადე ჩქარა! ადე, რა ექნაა!.. ჰუ! ადე-მეთქი, ადე, წავიდეთ. დედა, ზეზია, დიდ დედა— ყველანი შენ გელიანო.» დავხედე საათს და მესამე სრულდებოდა. მთელს ორს საათს გაერბინა შეუმჩნევლად და ვინ იცის, კიდევ რა დრომდე ვიოცნებებდი, იამზე რომ არ გამოეგზავნათ.

—

გული აძგერდა ზეზიას ნახვით და გაიშალა, ვით დილის ვარდი. ბევრი ვიმასლაათეთ სადილზე და სხვა ლს უკან ათასს რამე-რუმეზე, მაგრამ მოყვრობაზე-კი განჩავებაც არა ყოფილა. ზეზია თეთრს ბარეჟის კაბაში იყო ამ დღეს და ნაზის ედემის ნაზად დაფეთქილ ყვავილივით შვენოდა. ანატრელად ვსტკბებოდი მინაზებულის ზეზიას ცქერით და ცაში ეფრინაელი ანეტა რებული. ზეზიას ამ დღეს უფრო მორცხვობა და მოწყენილობა ეტყობოდა სახეზე და, როცა ჩემს ქართლში წასვლაზე ჩამოვაგდე სიტყვა, მაშინ ხომ ისე უეცრად შეუმწუხარდა დასურათხატებული სახე, რომ მთელის იმის უმანკო გულის წუხილი იმისსავე შავს მაყვალსავით თვალებში გამოიხატა ცხადად და მე ადვილად ამოვიკითხე: «გაძლება ჩემი უშენოდ ვაშმე რა დიდი ძნელიაო!» შედარდიანებული ზეზია ხმას აღარ იღებდა და ისე საცოდავად იყო მწარე ნაღველისაგან გარინდებული, რომ ცოდვით გული მიკვდებოდა.

„პირის-პირ მიჯდა იგი მზე,  
გული ვისთვისაც კვდებოდა,  
მალვით ვუჭვრეტდი, მიჭვრეტდა,  
სხვას არას მეუბნებოდა."

ჩაის მერე თეკლე სახლში წავიდა და ზეზო-კი ისევ ჩვენსა დარჩა. ზეზიამ რუსთაველი გამოიღო ეტაჟერკიდამ, გადაფურცლა გადაფურცლა და ამოიკითხა:

„გული, ცნობა და გონება  
ერთმანეთზედან ჰკიდიან;  
რა გული წავა, იგიმცა  
წავლენ და მისკენ მიდიან.  
უგულო კაცი ვერ კაცობს,  
კაცთაგან განაკიდიან;  
შენ არ გინახავს, არ იცი,  
მას რომე ცეცხლი სწვიდიან!"

ზეზიამ კიდევ გადაფურცლა და ამოიკითხა:

„დამკე წყრად ჭირთა ჩემთა,  
მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა,  
კალმად გიკვეთ გაწყობილსა  
ტანსა წვრილსა, ვით ლერწამსა!"

„ოხ, ღმერთო! რა მშვენიერი სიტყვებიაო". და ხელ-მეორედ გაიმეორა ზეზიამ. ბოლოს გადამეკიდა: თქვენი ახალი მოთხრობა «შვილის მკვლელი»; წამიკითხეთო, მე ბევრი ვიუარე, რა დროსია მეთქი, მაგრამ არ მომეშვა. რას ვიზამდი, დავიწყე კითხვა და ჯერ ათიოდე გვერდიც არ წამეკითხა, ზეზიას მარგალიტივით ცრემლები ჩამოსდიოდა ზეციურ თვალებიდგან, დედას თავის კალთაში ჩასმული იამზე მაგრა მიეკრა გულში და ტუჩები უთრთოდა თვალებიდგან მოგუბებულის მდუღარების ჩამოსაღვრელად.

—

—ღმერთო! რა საშინელი ღრუბ-

*) იხ. „ივერია" № 166, 167, 168, 169, 170, 172, 174, 175 და 176.

ა ნადირობენ ზანგებზედ, რომ ამით აღმოიფხვრას ეს საზიზღარი ხელობა; 3) გაკეთდეს გზა-ტკეცილები, რკინის გზები და ტელეგრაფი აფრიკის ნაპირებიდგან შიგ შუაგულ ქვეყნამდე; 4) მოისპოს იარაღის შეტანა იმ ადგილებში, სადაც მონებზედა ჰნადირობენ; 5) აიკრძალოს მაგარის სასმელებით ვაჭრობა და სხვანი. ამას გარდა კონფერენციამ საჯაროდ აღიარა, რომ ვაჭრობა მონებით სამუდამოდ მოსპობილია. ოსმალეთმა, სპარსეთმა და ზანზიბარმა პირობა მისცეს კონფერენციას, ჩვენს სამფლობელოში ნებას აღარ მივცემთ მონების შემოყვანისასაო.

ამ გვარად ბრიუსელის კონფერენციამ მოსპო მონობა და, რასაკვირველია, შემდეგი გვაჩვენებს, აასრულებენ პირ-ნათლად პირობას ის სახელმწიფონი, ვისაც-კი ბედმა არგუნა აფრიკის კონტინენტი, თუ არა. როგორც ყოველთვის, საფრანგეთმა ამ საქმეშიაც პირველი მაგალითი უჩვენა სხვებს მონობის მოსპობისა. ამ სახელმწიფომ სულ ხუთი მუხლი გამოსცა კანონისა, რომელიც მონობასა სპობს ტუნისში თუ საფრანგეთს ინგლისმა და გერმანიამაც მიჰბაძა, მაშინ აფრიკაშიაც მშვიდობიანობა და მყუდროება ჩამოვარდება და ამ საზიზღარსა და კაცის ღირსების დამამცირებელს ვაჭრობას ბოლო მოეღება.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

⁂ ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ყაზანის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ს. ელიაზაროვი, რომელიც მასალას აგროვებს ქართულისა და სომხურის ამქრების შესასწავლად. ეს ის ელიაზაროვია, რომელმაც შარშან გამოსცა წიგნი: „ისტორია წოდებრივ დაწესებულებათა ამიერ-კავკასიაში" და წარდგენილი იყო უნივერსიტეტის საბჭოში მაგისტრის ხარისხის მისაღებად. დღეს ბ-ნი ელიაზაროვი აგროვებს მასალას სადოქტორო დისსერტაციისათვის [illegible] მალ მოიპოვება მასალა ტფილისის გუბერნიის სამართველოს არხივში და ბ-ნს ელიაზაროვსაც იმისთვის მიუმართნია. ამ მასალების შეგროვებაში რომ სხვაც დაეხმაროს და უჩვენოს გზა მასალის შეკრებისა, ბ-ნს ელიაზაროვს ვრცელი წერილი დაუწერია სომხურად, რომელიც ამ დღეებში დაიბეჭდება გაზეთ „მშაკში". ავტორის აზრით, ჩვენებურს ამქარზედ არავითარი გავლენა არა ჰქონია არც სპარსეთს, არც ოსმალეთს და არც გერმანიას, როგორც ჰფიქრობს ზოგიერთი სწავლული. იგი თავის თავად არის აღმოცენებული ჩვენს ნიადაგზედ. ბ-ნი ელიაზაროვი, ტომით სომეხი, ჩვენებური კაცია დაბადებული ერევნის გუბერნიაში და სწავლა ტფილისის გიმნაზიაში შეუსრულებია.

⁂ ამას წინად ტფილისში ერთმა ექიმმა, გვარად ა—ტუროვმა, თავი მოიწამლა, მაგრამ დროზედ მიასწრეს ამხანაგებმა და სიკვდილს გადაარჩინეს. როგორც ამბობენ, ეს ექიმი ფულის პატრონი იყო თურმე, ნათესავებმა გამოსცინცლეს და შემდეგ ახლო აღარ მიიკარეს. ამ გარემოებამ ისე იმოქმედა საბრალო ა—ზედ, რომ კარგა ხანს გონება შერეული დადიოდა. ამ ჟამად ეს ექიმი ტფილისის სამკურნალოში წევს და მორჩენაზეა მიმდგარი.

⁂ მე-XXI საანთროპოლოგიო კონგრესზე მიუნსტერში რუდოლფ ვირხოვს წაუკითხავს თავისი ახალი გამოკვლევა კავკასიისა. კავკასიაში ნაპოვნი ბრინჯაოს ჭურჭელი და იარაღი ნათლად ამტკიცებსო, უთქვამს ვირხოვს: რომ ისტორიის წინა დროს ამ ქვეყანაში დიდი ალებ-მიცემობა და ვაჭრობა ყოფილაო. ვირხოვს მიუქცევია ყურადღება ქამრის ბალთაზე ნახატებისათვის და უთქვამს, რომ შეიძლება შუა-აზიიდგან იყოს გადმოღებული ეს ნახატობაო.

⁂ კავკავი, 14 აგვისტო. ამას წინად კავკავის მახლობლად, ლორის-მელიქოვის სკოლის ბაღში, დახოცეს ხუთი სული კაცი და დედაკაცი. ეს რუსის ჯალაბი ამ ბაღში მცველად იყო. ეს ავაზაკობა დაჰბრალდა იმ [illegible], რომელიც აქ, ამ ბაღში, იდგა აგრეთვე მცველად დახოცილების წინად. სანიბის ხეობის მცხოვრებელი ყაირაშვილი მისცეს სამხედრო სისხლის სამართალში და გადუწყვეტეს ჩამოხრჩობა. კარგა ხანმა გაიარა, ვიდრე ამ განაჩენს დაამტკიცებდნენ, და შემდეგ საქმე კიდევ იმან დააყოვნა, რომ ჯალათი არ იყო. აგერ ჯალათიც მოვიდა ამ დღეებში და ხსენებული ყაირაშვილი კავკავის გვერდზე, მინდორში გუშინ დილით ჩამოახრჩეს. მაყურებელნი ამბობენ, რომ ამოდენა ხალხი არც ერთს თეატრსა და არც ერთს ლხინში არ შეიყრება, რაც იქ მოგროვდაო; ბევრნი საშინლად სწუხდნენ, რომ ვერ მიესწროთ. ჩანს, რომ ამისთანა წარმოდგენები უფრო მოსწონთ ხალხს სხვა გვარს წარმოდგენა-კონცერტებზედ. ამბობენ, რომ ყაირაშვილს, ყმაწვილს კაცს, სატუსაღოში თმა სულ ერთიანად გაუთეთრდა, თუმცა სხვაფრივ, ამას გარდა, არაფერი ეტყობოდა-რა: კარგად სვამდა, კარგადა სჭამდა და მოსვენებითაც ეძინაო.

⁂ სოფ. ეკი (სენაკის მაზრა): 8 ამ თვისას სოფელ ეკში შემდეგი უბედურება დატრიალდა. შუადღისას, როდესაც აღმოსავლეთის ქარი განუწყვეტლივ ჰქროდა, ერთს აქაურს მცხოვრებს, გვარად გუნიას, ცეცხლი გაუჩნდა. ვერაფრით ვერ დაანელეს გაძლიერებული სტიქიონი. ცეცხლი ახლო-მახლო მეზობლებშიაც გადავიდა და ექვსის მოსახლე კაცის ქონება გადაჰბუგა. საწყლებს არაფერი გადარჩენიათ, ისე ხელცარიელნი დარჩნენ.

⁂ სოფ. ქედა (ქვემო აჭარა): ათს ამ თვისას ახალციხიდგან ჩამოვიდა ერთი გერმანელი მოგზაური, ექიმი ქან ველენტინი, ორი-სამი სოფელი დაიარა და ლოქორია, ტინტილა და ბოცინცელა აღარ დასტოვა, იჭერდა და შუშაში ინახავდა. თითო შავს ლოქორიაში თითო აბაზს აძლევდა, [illegible] ვინც-კი მიუტანდა, და ტინტილაში [illegible] ორ აბაზს. ყველანი ამ მგზავრ კაცისაგან გაკვირვებულნი იყვნენ. ექიმი ერთს ღამეს ქედაში დარჩა და მეორე დღეს ბათუმისაკენ გაემგზავრა.

⁂ ქვედა-აჭარა: ჩვენკენ სიმინდებს არა უჭირთ-რა. მართალია, ამ ბოლოს დროს სიცხემ შეახმო, მაგრამ თერთმეტს ამ თვეს ლამაზი ჟუჟუნა წვიმა მოვიდა და ისევე ფეხზედ წამოაყენა. აგერ ერთი თვეა, რაც ჩვენში ქედისა და ყველა სოფლის გასავლელს ხიდს აკეთებენ აჯარელები, მაგრამ ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ. უხიდობამ ძალიან შეაწუხა აქაური ხალხი. სოფ. ზერისში ამ თვეს მაჰმედ-ჯინდარ-ოღლი მოჰკლეს ამავე სოფლის მცხოვრებელმა მემა ოსი ალის შვილმა და სულეიმან ბაირაყდარის შვილებმა. მკვლელები—ოთხი კაცი დღეს ფირალებად არიან გავარდნილნი. 6 ამ თვეს კიდევ სოფ. კაპნის თავს მოკლეს ახმედ-ყარა-ისმაილ-ოღლი. ჯერ-ჯერობით მკვლელი არ უპოვნიათ, მაგრამ ისევ იმ სოფელშივე-კი უნდა იყოს, სადაც მკვლელმა ბოლო მოუღო ამ სოფლის მავნე და მაზარალებელს კაცს.

⁂ სურამი: ამ თვის 8 ჩვენს დაბაში მობრძანდნენ ვიღაც ვითომ-და არტისტები, საფაროვი და თამაზოვი, და წარმოადგინეს: „პრიკაზჩიკი შკაფში", „დატრიალდა ჯარა", „სუსტი მხარე" და დივერტისმენტი. ამ წარმოდგენას სულ ხუთი კაცი არ დასწრებია და ისინიც თავ-ბედს იწყევლიდნენ, რა ღმერთი გაგვიწყრა და რამ შემოგვაკეტა ამ წარმოდგენაზეო. ეს ცრუ-არტისტები კიდევ გვპირებენ წარმოდგენის გამართვას, თუმცა-კი უკეთესს იზამდნენ, რომ სულ არ გაირჯებოდნენ და ამაოდ არ იწუხებდნენ თავს...

⁂ სოფ. კოდა (ტფ. მაზრა): ჩვენს სოფელში ამას წინად გარდაიცვალა ერთი დედაკაცი, ხნით 126 წლისა. ამ დედაკაცს შვილები და შვილიშვილები 100-მდე ჰყოლია, 60 სული ეხლაც ცოცხალი ჰყავს, ხოლო 40-ი გამოუტირნია. განსვენებული ძალიან ჯან-საღი იყო, მხოლოდ ბოლოს დროს ხელ-ფეხი დაუდამბლავდა („ნორ-დარი").

⁂ ლაგოდეხიდგან სწერენ „Нов. Обоз."-ს: ჩვენს ქუჩებში დაიარება ვიღაც ჯვრებსა და მენდლებ ჩამოკონწიალებული კაცი და მათხოვრობს: „ორიოდ გროში მაჩუქეთ, ქართლის მეფე ვახტანგი ვარ, ჯარი მზადა მყავსო", ეუბნება გამვლელ-გამომვლელს ეს ახირებული შეშლილი.

⁂ ამ თვის 15, პოლიციის მერვე ნაწილში, სოფ მალხაზოვკას მცხოვრებელი ივანე ტაბაკარევი, 87 წლისა, თავის გაუფრთხილებლობით შირიაევის სახლის მეორე სართულიდგან გადმოვარდა, თავი გაიტეხა და მეორე დღესვე გარდაიცვალა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქ. ფოთი, 12 აგვისტო. ვინც ამ თვის თერთმეტს ფოთში არ დაესწრო და არ იხილა აქაური წვიმა, იმას არ ეთქმის, რომ დიდი წვიმა მინახავსო. შუადღიდგან მოკიდებული ოთხი საათი შეუწყვეტლივ კოკი-პირულად მოდიოდა წვიმა და თან საშინლად ელავდა ცა და ქუხილის გრგვინვა და ჰექა გაისმოდა. ქალაქის გრძელი და განიერი ქუჩები დიდ მდინარეებად გადაიქცა და ფეხით სიარული მეტად სავაი-ვაგლახო-ღა იყო და ღარიბ-ღატაკი ქალაქის მცხოვრებლები მუხლებამდის წყალში სტოპავდნენ. ასეთი გასაოცარი დიდი ნიაღვარი ამ ოც-და-სამი წლის განმავლობაში არა ყოფილა. თუ ამ საოცარს წვიმა-ნიაღვარს სამ-ოთხი საათი განეგრძო კიდევ, მაშინ უნავოდ ქუჩებში სიარული, როგორც ერთხელაც მოხდა ფოთში, შეუძლებელი იქნებოდა. ერთის სიტყვით, ამ დღეს წვიმის ნიაღვარი ზღვასავით იდგა ქუჩებსა, ეზოებსა და ბაღებში და წასასვლელ-გასავალი გზა არსაით არა ჰქონდა. მ. კაპარჭინას პირიდგან ერთი დიდი თხრილი იწყება, ირგვლივ უვლის ქალაქის უმთავრესს ნაწილს და მ. რიონამდის მიდის. ქალაქის ყოველ ქუჩის თხრილის ნიაღვარი ამ დიდს უმთავრესს თხრილში უნდა ჩამოვიდეს და ამ სახით მ. რიონს შეერთოს, საუბედუროდ, არამც თუ წრეულს, თითქმის ორი წელიწადია, რაც არც ერთი ქუჩის თხრილი არ გაწმენდილა და არ გასუფთავებულა. ეს თხრილები რომ ამ დღეს გაწმენდილ-გასუფთავებული ყოფილიყო, წვიმის ნიაღვარი ქუჩებზედ აღარ დადგებოდა, თავის გზას გაიკვლევდა და ხალხი გა-

---

ლები ირევა ცაზე, ხმის კანკალით მეუბნებოდა ზეზია ღამის თერთმეტ საათზე, როცა მაღლა გორაზე ავდიოდით და ვუახლოვდებოდით იმათს სახლს.

— ნუ ხართ, ზეზო, შიში-მქრალი, ნუ! ჰხედავთ, რა მედიდურად და მრისხანედ დასცურავს მთვარე შავს ღრუბლებში, თითქოს ღრუბლებს ემუქრება: არ დაიჭექოთ და მშვენიერი ზეზიკო არ შეაშინოთ, თორემ ვუბრძანებ ქარს და ცხრა მთასა და ზღვას იქით გადაგლუპავთო!

ზეზიკომ ხმა არ გამცა და უფრო მაგრა მომეკრა მკლავზე ჩემს მკლავში ხელ-გაყრილი. აი ავედით კიდეც გორაზე და გადავხედეთ ღალისტნის გალაჟვარდებულს მთებსა და და ალაზნის მწვანე-ბიბინა მინდვრებს. ტკბილის ძილით ჩასძინებოდა მთელს სოფელს და ჩამი-ჩუმიც არსაიდგან ისმოდა. მარტო თეკლეს სახლის ფანჯრიდგან-ღა გამობრჭყვინავდა სანთლის შუქი და გაღმა—მთიდგან ჭოტის ხმა ახმაურებდა ღამის ღრმა სიჩუმეს. ზეზიას აზვირთებულ ზღვასავით უღელავდა ბროლის გულ-მკერდი და ვატყობდი რიღაცის თქმა ეწადა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ეს იყო კიდევ, საშინლად იელა ცამ, საზარელმა ჭექა-ქუხილმა ძალზე დაიგრიალა ზეცაში და ღრიალ-გუგუნით ხმა მისცა ხმელეთიდგან საშობლოს მთებმა. ზეზიამ ერთი-კი შეჰკივლა და უსურვაზივით ჩამეკრა გულში ელდა-ნაცემი. ზეზიას ფერი წაუვიდა, თვალები მიებნიდა, მკლავებში არაქათი გამოელია და ისე დარჩა ჩემს გულში ნაზად მოსვენებული. მთვარე ისევ შეუპოვრად დაცურავდა ღრუბლებში და სანატრელად უსხივოსნებდა ზეზიას შუქიანს პირისახეს. ძლიერმა სიყვარულმა გონება მომიხიბლა, გაგიჟებით ჩავიკარ გულში ზეზო და თავდავიწყებით ვკოცნიდი იმის ლამაზს თვალებს, ნაღვლით მიმქრალებს. ბოლოს მოსულიერდა ზეზია, მაგრამ მომეკრა მკერდზე, თავი ჩაღუნა ჩემს გულში და ქვითინი ამოუშვა. „რა გატირებთ, ზეზო, რა?" —აღელვებულად ვეკითხებოდი, მაგრამ ზეზია უფრო ქვითინებდა ჩემს გულში თავ-ჩაღუნული და ტკბილი ნეტარება სულს მიხუთავდა. იმ სანეტარო ყოფაში იყო მაშინ ჩემი სული, გული, გრძნობა და გონება და ისე ამაყობდა განცხრომის ზღვაში, როგორც ამაყობს ხოლმე მეფე თავის ახლად დამონებულ ქვეშევრდომთა შორის.

მაშინ-კი დავრწმუნდი, რომ ზეზიას გული მე მეკუთვნოდა, მე მისთვის გავეჩინე ზეცას და ზეზია ჩემთვის მოევლინა დამბადებელს, მაგრამ სცხვენოდა იმასაც ჩემსავით და ვერ მიცხადებდა სიყვარულს. გულის ტკბილმა ალტაცებამ გაბედულობა მომიმატა და გულ-ახდით ვუთხარ პირდაპირ: „ნუ სტირი, ჩემო სიცოცხლის იმედო ზეზო, ნუ! მე შენ მთელ ქვეყანადაც არ გაგცვლი არავისზე და შენს გარდა არავის შევიროთავ არასოდეს? შენ, მარტო შენ მყუვარდი, მიყვარხარ და გეყვარები ჩემს გულს იქამდის, ვიდრე შიგ ერთი უკანასკნელი ცვარი სისხლი კიდევ მოძრაობს და მიწად არ იქცევა. დღესვე რომ შავმა ბედმა ისარივით ამტყორცნოს ჯოჯოხეთში, მაინც იქაც ბედნიერი ვიქნები შენის მოგონებით, და თვით სამოთხის უფროსობაც რომ შემოგძლიათ ჩემთვის ზეცაში, არც იმას ვინდომებდი, ისევ შენთან ჩამოვეფინებოდი ამ ქვეყნად და ფიანდაზად გავეშლებოდი მიწაზე! ღმერთმა დამიფაროს! იქ რა მინდოდა და იქ რა გამაძლებინებდა უშენოდ, როდესაც „თვალნი თვით შენისა ნახვისათვის მინდა, ენა შენისა მოუბრობისათვის, ყურნი შენთა სიტყვათა სმენისათვის და ხელნი შენისა სამსახურისათვის! დიაღ, ჩემსა თავსა და ტანსა ზედა ხელმწიფე ხარ და ესეთი ხელმწიფობა შენვე გშვენის და გფერობს!"—

გულ-ალტაცებით ვეუბნებოდი ამ სიტყვებს ჩემის გონების აღმაფრთოვანებელს ზეზიას, და ზეზია-კი უფრო მაგრა მეკვრებოდა გულში, უფრო მწარედ ქვითინებდა და ნაწყვეტ ნაწყვეტ მეუბნებოდა: „არა, არა მჯერა... მე თქვენთვის ვკვდებოდი და თქვენ-კი... თქვენ-კი ერთხელაც არა მკითხეთ... ერთხელაც არ შემიბრალეთ"...

—ნუ, ჩემო სიცოცხლე ზეზო, ნუ მწამებ ორგულობას:

თუ სხვა გიცოდო, შენს გარდა,
მზე დამიბნელოს სოფელმა,
ცა რისხვით თავზე დამენგრას,
ნუ დამიტიროს მშობელმა,
ნურც პირი მიყოს მიწამა,
ნურცა ზღვამ დაუშრობელმა,
ქვეყანა ზიზღით მკრულავდეს:
რა ჰქმნას დაუნდობელმა!

— უი, თქვენ-კი გენაცვალოთ ჩემი თავი! ღმერთმა შეგვაბეროთ ერთმანეთს, შვილებო, ცოცხლეთ იქამდის, ვიდრე ცაში მზე ჰბრწყინავდეს, ზღვაზე მთვარის შუქი და ხმელეთზე ნათელი ჭეშმარიტებისაო, შემოგვესმა და უცბად გავშორდით მე და ზეზია ერთმანეთს. მივიხედეთ და შაოსანი თეკლე იდგა ჩვენს უკან. ზეზიამ სირცხვილით თავი ჩაღუნა, მეც შემრცხვა, ჭარხალივით წამოვწითლდი და თან ბრაზ-მორეული ვამბობდი გულში ოდნავ კბილების ღრაჭუნით: „რას დაგვედევს მზვერავი ქაჯივით, ეს მოუსვენარი არსაითი! ეს ყველას შემტყობი და გამგები ჯადოქარი! ეს, ეს, ეს!.."

როცა კარგად გამოვშორდი თეკლეს სახლს და მივიხედე უკან ზეზია ისევ თავიანთ სახლის დერეფანში იდგა და იქიდგან მიყურებდა წამავალს.

დ. მაჩხანელი

(დასასრული იქნება)

ქირებასა და წვალებას აღარ გამოივლიდა. თუნდა დაბალის ხალხის გაჭირებასაც ნურად მივიჩნევთ, დღეს ტოპონ წყალში ამ დროს ფეხშიშველმა რაო, ძალიან კარგი, მაგრამ, ნუ თუ დამდგარი და დატბორებული წვიმის წყალი გაუსუფთავებელ-გაუწმენდელს თხრილებში არ აშმორდება, არ აყროლდება, მიაზმებით სავსე სიცხის ოშხივარს არ აუშვებს და არ წაჰპილწავს უიმისოდაც გაფუჭებულს ფოთის ციებიანს ჰაერს?!. რადგანაც ჩვენში დიდი წვიმები ხშირად იცის, ამიტომ ქალაქის თვით მართველობამ ყოველთვის სუფთადა და გაწმენდილი უნდა შეინახოს ქალაქის ქუჩების თხრილები. ამბობენ, რომ თხრილების დასასუფთავებლადა და საზოგადოდ ქალაქის ქუჩების გასაკეთებლად ქალაქს გადადებული აქვს ყოველს წლივ ოცათასს (?) მანეთამდე. ეს ფული, ჩვენის აზრით, თავ-საყრელად ეყოფა ფოთის ქუჩების გაკეთებასა და კარგად შენახვას... ნეტა ვიცოდეთ, თუ მართალია ეს ხმა, სად არის ის ფული და რასა ჰხმარდება?..

საბაშიოელი

## ბეითალის დარიგება ავადმყოფ საქონლის მოვლა-პატრონობის შესახებ.

1) ავადმყოფ საქონლისათვის საკუთარი სადგომი ბოსელი, ან თავლა უნდა გქონდეთ და იქ მოათავსოთ ყოველი ახლად ავად გამხდარი საქონელი.

2) საღი საქონელი არ უნდა აძოვოს ჭაობიანს ადგილებში და იქ, სადაც მუდამ გუბე სდგას და სისველე და სინესტეა.

3) წინდაწინვე უნდა გქონდეთ არჩეული ალაგი ორმოების გასათხრელად, თვით ორმოები ამ თავითვე გათხრილ-მომზადებულები უნდა იყოს, რომ მკვდარი საქონელი საჩქაროდ დაიმარხოს. თითო ორმო სამი ადლის სიღრმისა უნდა გათხაროთ, სოფელსა, გზებსა, და საძოვარ ადგილებს მოშორებით. საქონელი არ უნდა გაატყავოთ. ძალიან კარგი იქნება, რომ ქირით მკვდარი საქონელი ორმოს პირზედვე დასწვათ, ის ჩააყაროთ ორმოში და კარგად მიაყაროთ მიწა.

4) ავადმყოფი საქონელი არც უნდა შეიბას, არც გაიყიდოს, არც გაიცვალოს სხვა საქონელზედ და არც საჭმელად დაიკლას.

5) საქონლის იარაღი, თუ სხვა რამე იმასთან ნახმარი ავეჯი ცხელს ნაცარ წყალში უნდა გაირეცხ-გაიწმინდოს.

6) ბოსელი, საიდამაც ავადმყოფი საქონელი უნდა გაიყვანოთ ხოლმე წინ-და-წინვე დაქირიანებულ საქონლისათვის მომზადებულს სადგომში, ძალიან უნდა გაიწმინდოს და, ორი-სამის კვირის განმავლობაში, კარლია იყოს, ჰაერის გასაწმენდად. ამ ხანში შიგ სულ არ უნდა დააბათ ავადმყოფი საქონელი. საქონლის პატივი უეჭველად მინდორში უნდა გაიტანოთ და იქ ან დასწვათ, ან მიწა კარგად მიაყაროს. ქურჭელი, რომელსაც ავადმყოფ საქონელს აჭმარებდით, ცხელის ნაცარ წყლით უნდა გარეცხოს; ზღვეები, კედლები და ბაგა ცხელის ადუღებულის წყლით ჩამოირეცხოს და კირი წაესვას. თუ ზღვე არ აგია, მაშინ ერთის ჩარექის სიღრმეზედ მიწა უნდა მოითხაროს და, იმის მაგიერად ახალი მიწა დაიყაროს.

7) ვინც ავადმყოფ საქონელს უვლის, ან მკვდარი საქონელი გააქვს, იმას ხელები დაშავებულ-დაჭრილი არ უნდა ჰქონდეს. ავადმყოფის საქონლის მოვლის დროს, ან მკვდრის გატანის დროს ხელები მწარე ზეთში უნდა დაიბანოს, ან ქონი წაისვას და დიდად გაფრთხილებით, რომ ხელი არ გაიჭრას, ან ავადმყოფის საქონლის სისხლი, თუ ჩირქი არ მოეცხოს. ხშირად ამ ნაირად თითონ კაცს გადაედება ხოლმე სენი და იმისაგან საღს საქონელზედაც გადადის. მოვლის შემდეგ, ხელები ან საპნით უნდა დაიბანოთ და ან წყალ გარეულ ძმარ-კირით. ქირიან საქონლის ტყავები საქონლისავე საავადმყოფო სადგომში უნდა იყოს ბეითალის საჩვენებლად.

8) არამც და არამც დახოცილი საქონელი შიგ სოფელშივე, ან სოფელს ახლო არ უნდა დაჰმარხოთ. ქირიანმა საქონელმა საღთან ერთად არ უნდა სვას და სჭამოს და თავ-თავისი ქურჭელში უნდა ჰქონდეთ გამართული.

9) ბეითალსა და ან იმის თანაშემწეს ხშირად უნდა აცოდინოთ: რამდენია ავად, რამდენს კომლსა ჰყავს ავად საქონელი, რამდენი რჩება, რამდენი კვდება და დიდხანს არის საქონელი ავად, თუ არა?..

10) რა წამალიც ბეითალმა და ან იმისმა თანაშემწემ გირჩიოთ, მაშინვე უნდა გამოიწეროთ ის წამალი და წამლობა დაუწყოთ საქონელს, თუ ასე არ მოუარეთ საქონელს, ძნელად თუ მორჩეს და სიკვდილს გადარჩეს.

უ.

## წერილი რედაქციის მიმართ

თითქმის ორი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც გურიის სოფლის სკოლების მასწავლებელთ ამხანაგობის შედგენა და საზოგადო წიგნთ-საცავისა და სამკითხველოს გამართვა განიზრახეს. აქამდე ჯერ არ გადაუწყვეტიათ, სად და რომელ სოფლის სკოლაში უნდა დაარსდეს ეს საამხანაგო წიგნთ საცავიო, ეხლა, როგორც ბ-ნი ის. რამიშვილის წერილიდგანა სჩანს *), ესეც უკვე გადაუწყვეტიათ. ბ-ნი ის. რამიშვილი ჰბრძანებს: ეს საერთო წიგნთ-საცავი დ. ჩოხატაურში იქნება გამართულიო. საკვირველია, საიდგან მოუვიდათ ეს აზრი ბ-ნთ მასწავლებელთ, თუ მაინცდამაინც ეს ადგილი ამოირჩიეს წიგნთ საცავის დასაარსებლად, საკვირველია, რადგან ეს „სანთო დ. ჩოხატაური“ მდებარეობს გურიის აღმოსავლეთით განაპირას და არა გურიის შუაგულ და ამას გარდა უმრავლესს სოფლებზედაც დიდად მოშორებულია. წარსულის წლის დამლევს ბ-ნმა დათიკო ვერმიცანაშვილმა პროვინციალურ „წლიურ ანგარიშში“ „ივერიის“ № 277 და 278 გამოაცხადა, რომ „გურიის სოფლის სკოლის მასწავლებელნი ჰმართავენ საამხანაგო წიგნთ-საცავს ს. ბასილეთში, მაგრამ, როგორც სჩანს, ეს სურვილიც გადაუთქვამთ და ახლა დ. ჩოხატაური“ ამოურჩევიათ, ჩვენის აზრით, გურიის შუა ადგილი არის დ. ნაგომარი, რომელიც ბასილეთის საზოგადოების ბოლოზე მდებარეობს, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ არ არსებობს არც ერთი სასწავლებელი, და ამიტომ ეს წიგნთ-საცავი უნდა დაარსდეს დ. ხიდისთავში, (ბასილეთის საზოგადოებაში) სადაც არსებობს ერთი ორ-კლასიანი საერო სასწავლებელი და აგრეთვე არის სხვა სამრევლო და საქალებო სასწავლებელიც. აქ ამ დაბაში ოთხ-ხუთამდე მასწავლებელია, რომელთაც ადვილად შეუძლიანთ გაუძღვნენ წიგნთ-საცავის საქმეს. თუ არც ბასილეთში მოსწონთ ბ-ნთ მასწავლებელთ, მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ დ. ჩოხატაურზედ ბევრად მოსახერხებელია ს. ბახვი, სადაც არსებობს ორ-კლასიანი სასწავლებელი, რომელშიაც სამი მასწავლებელია. თუ მართლა დაარსდა ეს საამხანაგო წიგნთ-საცავი, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი შეგნებული მოძმენი თანაგრძნობას გაუწევენ ამ კეთილს საქმეს. სხვათა შორის მეც მზათა ვარ შევწირო წიგნთ-საცავს ორმოც-და-ათის მანეთის წიგნები და ყოველ წლივ შეძლების დაგვარად დახმარება არ მოვაკლო, თუ ბასილეთში დაარსდა ეს წიგნთ-საცავი.

გ. თავართქილაძე

ქ. ოზურგეთი. 4 აგვისტო

*) იხ. „ივერია“ № 135.

# რუსეთი

ბუნების მეტყველთა მომავალს კრებას მოხსენდება, რომ რუსეთშიაც ისეთივე დროს ანგარიში და წელთა აღრიცხვა შემოიღოთ, როგორიც დასავლეთ-ევროპაშიაო. ამ საგნის შესახებ მომხსენების წამკითხველს განზრახვა აქვს იმითი დაასაბუთოს თავისი აზრი, რომ ორ გვარის დროს აღრიცხვის ხმარება გვჭირდება, რადგან ამ ბოლოს დროს ევროპიელებთან ბევრი საქმე გვაქვს დაჭერილი და ეს ორ გვარი ანგარიში-კი ერთისა და იმავე საგნისათვის მეტად ძნელიაო.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ ზოგიერთ გუბერნიის უფროსს მოსთხოვა, შემატყობინეთ, რა ცვლილებანი უფრო საჭიროა, რომ საქალაქო წეს-დებულებაში შემოვიღოთო. სამინისტროს მიწერილობაში ნათქვამია, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ ქალაქის შინაურ საქმეების წარმოებას სახელმწიფოს მიერ დანიშნული მოხელე არ ადევნებს თვალ-ყურს, საბჭოებში უფრო მეტი ხალხი ჰქმსახურობს, ვიდრე საჭიროა და უფრო ვაჭრების მიმდევარი ხალხი არის ხსნა-და-სხვა თანამდებობაზეო. როცა სიჭირო ცნობებს მიიღებს, სამინისტრო მაშინვე შეუდგება თურმე ცვლილებათა შემოღების საქმეს.

— ამბობენ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ყველა რკინის გზის სადგურებზედ ცალკე ვაგონები უნდა იყოს ხოლმე რელსებისა და სხვა მასალისა და იარაღისა, რომ გზის უეცრად გაფუჭების დროს ყველაფერი მალე მიაშველონ, გზა გაასწორონ და მატარებლის სიარული დიდხანს არ შესწყდესო.

— საერო განათლების სამინისტროს ამ მოკლე ხანში წარედგინება დასამტკიცებლად წესდება ახლად დაარსებულის საზოგადოებისა, რომელსაც ეწოდება „დამხმარებელი საზოგადოება იმიერ ბალტიის სასწავლებლების მართლ-მადიდებელ მოსწავლეთა. ამ საზოგადოებას შემდეგი წყაროები აქვს შემოსავლისა: 1) ყოველ წლიური საწევრო ფული, 2) საპატიო წევრების შემოწირულებანი (არა ნაკლებ 50 მან.) და 3) ფულად, წიგნებით და სხვა შემოწირულებანი. ამას გარდა საზოგადოება გამართავს ხოლმე წარმოდგენებს, კონცერტებს, საჯარო ლექციებს, სალიტერატურო საღამოებს და ამით შეივსებს თავის შემოსავალს.

— მანუფაქტურისა და ვაჭრობის დეპარტამენტმა მისწერა ზოგიერთს საბირჟო კომიტეტს, კოლექციები შეადგინეთ სავაჭრო საქონლისა და იაპონიის ელჩს გამოუგზავნეთ იმ გამოფენისათვის, რომელიც იაპონიის ქალაქ ოსაკაში უნდა გაიმართოსო. ეს გამოფენა მუდმივი იქნება და ყოველ გვარი ნაწარმოები და სავაჭრო გამოიფინება, როგორც ადგილობრივი, აგრეთვე უცხო სახელმწიფოებისა და ქვეყნებისაც. იაპონიის მთავრობა ამ გამოფენას იმ აზრით ჰმართავს, რომ თავისი ვაჭრობა და აღებ მიცემობა გააძლიეროს უცხო სახელმწიფოებთან. ამის გამო იაპონიის ელჩმა მიჰმართა რუსეთის ფინანსთა მინისტრს და ზემოხსენებული კოლლექციები სთხოვა. იაპონიის ელჩი სწერს მინისტრს, ყოველ გვარის რუსეთის სავაჭროსი და ნაწარმოების ნიმუშები გამომიგზავნეთ, რაც-კი რუსეთიდგან იაპონიაში შემოიტანებაო, სხვა და სხვა მატყლისა, ჭარხლის შაქრისა, თამბაქოსი, სიგარებისა და სხვ.

— ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს, გადასახადი მოუმატოს გემისათვის სახმარ ხე-ტყესა და მასალას, რომელიც უცხო სახელმწიფოებიდგან შემოდის რუსეთში. ეს განზრახვა იმას გამოუწვევია, რომ შიგ რუსეთში გაძლიერდეს და აყვავდეს ხელობა გემის შენებისა. ამას გარდა, გადასახადი მოემატება იმ გემებსაც, რომელიც უცხო სახელმწიფოში იქნება გაკეთებული.

— შეპტოვის მაზრის ერთს სოფლის მასწავლებელს მოუნდომებია გლეხებში სასარგებლო წიგნების გავრცელება და მთავრობისათვის ნებართვა უთხოვნია. მოსულია თუ არა ნება, უყიდნია წიგნები და ეხლა სოფელ-სოფელ დაიარება თურმე და ჰყიდის. მიდის სადაც ან დღეობაა რამე, ან სხვა რამ ხალხისყრილობა და ასაღებს წიგნებს. ვაჭრობა კარგად მიდის თურმე. გლეხები ისეთს წიგნებსაც-კი ყიდულობენ, რომელიც სამ-სამი აბაზი ღირს. ამ მასწავლებელს განუზრახავს, რომ წიგნებს გარდა სხვა-და-სხვა გლეხებისათვის სასარგებლო სურათებიც ატაროს და ჰყიდოს.

— ახირებული სანაძლეო დაუდვიათ სარატოვის გუბერნიის სოფელ ლიბენტალში. ვიღაც ქრისტიანე პონიკი დანაძლევებულა ერთს გლეხთან, რომ ას კვერცხსა და ექვს გირვანქა ქადას შევჭამ და ერთს ბოთლს არაყსაც ზედ დავატანო. სანაძლეო მანეთი ყოფილა. მოუტანიათ ასი კვერცხი, ქადა, არაყი და პონიკი შესდგომია თავის საქმეს. კვერცხები სულ ერთს ბადიაში ჩაუხლია და ისე დაუწყია ჭამა. ათს წუთში სულ ერთიან მიუსანსლავს პონიკს ქადაც, კვერცხიცა და არაყიცა. „ერთი ეგ უკანასკნელი ლუკმაც მაინც დაგადგეს ყელზე, რომ დაირჩოო“, უთხრა თურმე წაგებულმა გლეხმა, მაგრამ პონიკს ყურიც არ გაუბერტყია, გაუთავებინა თუ არა, მაშინვე მანათი წაურთმევია.

# უცხოეთი

ბოლგარია: ბოლგარიის მთავარი პრინცი ფერდინანდ კობურგელი კარგა ხანია ბოლგარიაში აღარ იმყოფებოდა და თავის სამთავროს გარეშე დამოგზაურობდა. ზოგიერთი ბოლგარიის მოძულე გაზეთები დაბეჯითებით გაიძახოდნენ, რომ პრინცი ფერდინანდი გაიქცა თავის სამთავროდგან და უკან აღარ დაბრუნდებაო. თითოოროლანი იმასაც-კი ამბობდნენ, რო, კობურგის გვარეულობის უფროსმა პრინცმა ერნსტმა უკვე გამოუცხადა პრინცს ფერდინანდს, რომ არამც და არამც აღარ დაბრუნდე ბოლგარიაშიო. ყველა ეს გაზეთების ამბავი სრული სიცრუე გამოდგა, პრინცი ფერდინანდი უკვე დაბრუნდა თავის სამთავროში და ბოლგარები დიდის ამბითაც დაუხვდნენ თავის მთავარს. ვიდდინში პრინც ფერდინანდს დიდი ნადიმი გაუმართეს, რომელზედაც მთავარმა სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ ბოლგარიაში დასაბრუნებლად განგებ ამოვირჩიე დღევანდელი დღე, რადგან ამ დღეს სწორედ ოთხი წელიწადი სრულდება ჩემის მთავრად ამორჩევისაო. ბოლგარია ძალიან წავიდა წინ პროგრესის გზაზედ ჩემის სამის წლის მთავრობის განმავლობაში, ღვთის მადლით, მტერმა და მოშურნემ ვერა დააკლო-რა, თუმცა იქადოდა-კი იმის პირ-ქვე დამხობას. პირ-იქით, დამხობის მაგიერ, ევროპაში ყველა პატივისცემით იხსენიებდა ბოლგარიასა და ბოლგართა დამოუკიდებლად ყოფნის სურვილსაო. შემდეგ პრინცმა განაცხადა, რომ ევროპა პოლიტიკურადაც თანდათან ნდობით გვეკიდება და ამას სხვათა შორის აშკარად ამტკიცებს ის გარემოება, რომ მაკედონიაში ჩვენის სურვილისამებრ ბოლგარიის ეპისკოპოსები დაუნიშნეთ და ოსმალეთთან კარგმა განწყობილებამ უქმად არ ჩაგვიარაო. დასასრულ პრინცმა ფერდინანდმა მიჰმართა ბოლგარელებს და სთხოვა, რომ ისევე ერთგულად ემსახურეთ თქვენს სამშობლოს, როგორც აქამდე ემსახურებოდითო, და სტამბულოვს მადლობა გადაუხადა ქვეყნის ბრძნულად მართვისათვის თავის იქ არ ყოფნის დროს. ამ სიტყვებს შემდეგ მთავარმა ბოლგარიის სახელის, დიდებისა და წარმატების სადღეგრძელო დალია და ამას გარდა ამ ქვეყნის ერთგული და სახელოვანი ჯარიც ადღეგრძელა.

— «Kölnische Zeitung»-ს აუწყებენ სოფიიდგან, რომ სტამბულოვი ამას წინად ბოლგარიაში დამოგზაურობდა და ამ მოგზაურობიდგან ძალიან კარგს გუნებაზედ დაბრუნდა. ბოლგარიის ეპისკოპოსების დანიშვნამ მაკედონიაში ყველგან კარგი მოქმედება იქონია და ზოგიერთმა რუსეთის მომხრეებმა, მთავრობის ამ სადიპლომატო გამარჯვების წყალობით, გადასწყვიტეს, რომ ამიერიდგან მას მიემხრნენ და აღარას ეწინააღმდეგონ. ეჭვი არავისა აქვს, რომ მომავალ არჩევანებზედ მთავრობა გაიმარჯვებსო.

— გაზ. „Indépendance Belge“ ამბობს, რომ პრინცმა კობურგელმა, ვიდდინში დაბრუნებისათანავე, სტამბულოვს ერნესტის გვარეულობის დიდის ორდენის ნიშნები უწყალობა და თვით ჰერცოგის კობურგელის წერილიც გადასცაო. ინგლისისა და

ავსტრიის ელჩები სა'ახლეში იყვნენ დარბაზად პრინცთან და სასახლის სადარბაზო დავთარში სრული თავისი სახელი, გვარი და წოდები აღნიშნესო. პირველი მაგალითია ელჩების ასე მოქცევა მას შემდეგ, რაც პრინცი კობურგელი გამთავრდა ბოლგარიაშიო.

## წვრილი ამბები

ჩინეთის ქალაქ პეკინში ამ ჟამად ერთი 14 წლის ყმაწვილი იმყოფება, რომელსაც საოცარი და შესანიშნავი ხელი აქვს თურმე. ძლიერ შორსაც რომ იყოს საგნები, ამის ხელში ისე ჩანს თურმე, როგორც სარკეში. ეს ყმაწვილი ერთს მანჯურელს ჩამოუყვანია პეკინში, თითონ-კი შანტუნელი მთიული ყოფილა. ერთი მანდარინი გამოსაცდელად დაჰკითხებია ამ ყმაწვილს, აბა შეიტყე ჩემი მეზობელი რას აკეთებსო. იმ მეზობლის სახლი 7 ვერსზედ ყოფილა, მაგრამ ყმაწვილს ჩაუხედნია თავის ხელში და უთქვამს, ეხლა ყველანი სუფრაზე სხედან და მაკარონსა სჭამენო. მართლაც სწორედ ასე ყოფილიყო. მანდარინი თავის დაბადების დღეს დღესასწაულობდა თურმე, სტუმრები ჰყოლოდა მოწვეული და, რადგან ჩინეთში მაკარონი მეირთვას და საგანგებო საჭმელად ითვლება, სწორედ ეს საჭმელი მოემზადებინა სტუმრებისთვის.

— ინდოეთის გაზეთებში სწერია, რომ ნაბაბ ნავაზ-იუნგის სასახლეში მთელი ერთი კვირა მეჯლისი იყო გამართული ტიკინების ქორწილის გამო. ქორწილი ყოფილა ორის ტიკინისა და დიდის ამბით გადაუხდიათ. ყოველივე ეს იმიტომ ჩაიდინეს თურმე, რომ ნაბაბის 7 წლის ქალი გაერთოთ.

— ვენეცოელაში კანონი შემოიღეს, თუ კაცი 35 წლეიწადს გადასცდა უცოლოდ, გადასახადი უნდა გამოერთვასო. თუ უცოლო კაცის წლიური შემოსავალი 12,000 მანათს არ აღემატება, აქედგან ერთი პროცენტი გამოერთმევა, და თუ ამაზე მეტი შემოსავალი ექნება, მაშინ ორი პროცენტი გამოერთმევა მთელის შემოსავლისა.

— ამ ჟამად ინდოეთში 79,000 ქვრივია 9 წლისაზე პატარები. ეს ქალები დაბადებისათანავე იყვნენ დანიშნულნი, მაგრამ გათხოვებას ვერ ეღირსნენ, საქმროები დაეხოცათ და ეხლა ქვრივებად იწოდებიან და სწორედ ისე უნდა იცხოვრონ, როგორც ინდოეთის ქვრივს უწერს კანონი.

— ჩიკაგოს გამოფენაზე იმ იარაღების განუოფილება იქნება, რომელსაც სხვა-და-სხვა ადგილას დამნაშავეთა სიცოცხლის მოსასპობლად ხმარობენ. ვინც ისეთს იარაღს წარმოადგენს, რომელიც ნაკლების ტანჯვითა ჰკლავს კაცსა, იმისათვის ჯილდო დანიშნული.

— აბაშეთის ნეგუსმა სამეფო გვირგვინი შეუკვეთა მილანში. ეს გვირგვინი ამ ჟამად მზად არის თურმე, 3 გირვანქას იწონის, პიტალო ოქროსაგან არის გაკეთებული და 130 მვირფასი თვალი უზის.

— ამერიკაში მცხოვრებმა გერმანელმა მერგენტლერმა მოიგონა ასოების ასაწყობი მანქანა, რომლის ხმარება ყოველ წერა-კითხვის მცოდნე კაცს შეუძლიან თურმე. რამდენმამე ამერიკულმა გაზეთმა უკვე იყიდა ეს მანქანა და ეხლა გაცილებით ნაკლები ხარჯი მოსდით აწყობაზე, ვიდრე წინად მისდიოდათ: ნიუ-იორკის გაზეთი «Tribune»-ს 100,000 მანეთით ნაკლები ხარჯი მოსვლია ერთს წელიწადში ამ მანქანის წყალობით.

— საცენზურო კანონები იაპონიაში უფრო სასტიკი ყოფილა, ვიდრე სხვა რომელსამე სახელმწიფოში. ამას წინად რამდენსამე იაპონელ ჟურნალისტს ოთხ-ოთხი წელიწადი ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტეს, რადგან იიმუ მეფე ცუდად მოიხსენიესო. ეს იიმუ იაპონიურ წელთაღრიცხვით 600 წლის წინად სცხოვრობდა თურმე ქრისტეს დაბადებამდე და სწავლულებმა ჯერ დაჭეშმარიტებით არ იციან, თუ რომელს ხანას ეკუთვნის იმის მეფობა.

## დეპეშა

17 აგვისტო

პეტერბურგი. დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე გუშინ გზათა სამინისტროს მმართველითურთ ფინლიანდიისკენ გაემგზავრა ფლოტის აღლუმების სანახავად.

გუშინ ცარსკოე სელოში ანდერძი აუგეს და რკინის გზაზედ მიასვენეს კურლიანდიის გუბერნიაში გასაგზავნად გვამი გრაფი რეიტერნი. გასვენებაზედ დაესწრნენ მინისტრები ვიშნეგრადსკი, გრ. დელიანოვი და გიუბბენეტი და სახელმწიფო საბჭოს, მინისტრთა კომიტეტისა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელნი. სხვათა შორის გვირგვინები გამოგზავნეს საბირჟო კომიტეტმა და სხვა საკომერციო დაწესებულებებმა.

„Нов. Время“-ს სიტყვით, უკვე ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სათემო უფროსების თანამდებობა ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეშიაც იქმნას შემოღებული.

პეტერბურგში განზრახვა აქვთ, მომავალ გაზაფხულს მთელის რუსეთის ნადირობის გამოფენა გამართონ.

ცარიცინში უკვე გამართულია საერთო ტელეფონი, რომლითაც ყველას შეუძლიანთ სარგებლობა.

„Новости“ ამბობს, რომ როცა უსკიუბეში დანიშნულმა ბოლგარიის ეპისკოპოსმა სალონიკებზედ გაიარა, ხალხმა ყიჟინა დასცა: „შორს ჩვენგან სტამბულოვის მომხრეო!“ ეპისკოპოსმა თავი მიიმალა და დაუყოვნებლივ გაუდგა გზას.

ორიოლი. გუშინ ოცი, შენობა დაიწვა; საღამოზედ ჩერკასის სლობოდაც გადაიბუგა.

კურსკი. იამსკისა და ვაზაცკის სლობოდებში გაჩენილმა ცეცხლმა 150 სახლზედ მეტი გადაჰბუგა. ზარალი 200,000 მანეთამდეა.

კოსტრომა. გუშინ ქალაქ კინეშმის 3/4 ცეცხლმა იმსხვერპლა. ზარალი 3 მილიონ მანათამდე იქნება. დაზიანებულნი ულუკმა-პუროდ არიან დარჩენილნი და დახმარება სჭირიათ.

ბაქო. იწვის მირზოევის სანავთო ნავთ-სადგური და სამ-იალქნიანი გემი მანაფოვისა და ამ., გამოუხდელ ნავთით დატვირთული; დიდ-ძალი ზარალი ჰნახეს ამ ვაჭრებმა.

კიევი. პოდოლში წარსულს ღამეს დიდ-ძალის ხე-ტყ ს მასალის საწყობი და ორი ორთქლის წისქვილი სულ ერთიანად გადაიბუგა. ზარალი 200,000 მანეთამდე იქნება.

სოფია. როდოსლავოვი იწვევს თავის მომხრეთ, რომ მონაწილეობა მიიღონ მომავალს არჩევანებშიო. დანარჩენი მოწინააღმდეგე დასნი ამ არჩევანებში ჩარევას არ აპირებენ. როდოსლავოვის გაზეთი იუწყება, რომ ავსტრიაში ნაყიდი თოფები ცუდი გამოდგა და ყოველ როტაზედ 20-მდე თოფი მაინც ყოვლად გამოუსადეგარგამოუყენებელიაო.

## განცხადებანი

4 სექტემბერს 1883 წელისას ს. წინამძღვარიანთ-კარში დაარსდა სასოფლო სამეურნეო სკოლა. ამ სკოლაში საქართველოს სხვა-და-სხვა მხრიდგან მოიყანეს თავი შეგირდებმა. რადგანაც ს. წინამძღვარიანთ-კარში და იმის ახლო-მახლო სოფლებში ყმაწვილებს კარგი ბინა და ყურის გდება არა ჰქონდათ, ამისთვის სკოლის მმართველობამ ააშენა ქვიტკირის სახლი, რომელშიაც 35 ყმაწვილს შეუძლიანთ დგომა. დღეს აქ 19 შაგირდი სცხოვრობს. თუმცა შეგირდების მშობლები და მზრუნველები მოვალენი არიან ყოველ გვარი ყურადღება იქონიონ ყმაწვილებზედ, მაგრამ ზოგიერთნი მათგანნი გულ-გრილად ექცევიან ამ საქმეს: არ უგზავნიან სკოლას თავ-თავის დროზედ ყმაწვილების შესანახავ ფულსა, შვიდ-შვიდ მანეთს თვეში, და ამით დიდს გაჭირებას აყენებენ მმართველობას სკოლისას და თვით ყმაწვილებსაც. ამის გამო სკოლის კრება, რომელიც განაგებს სადგურის საქმეს, იძულებულია დაითხოვოს შეგირდები სადგურიდგან და მშობლებთანვე გაჰგზავნოს. დიდად სამწუხაროა ამისთანა მოვლენა, გულგრილობა მშობლებისა, რომლის შვილებსაც სკოლაში უსასყიდლოდ აქვთ სწავლა და სასწავლო ნივთებიც მუქთად ურიგდებათ და მხოლოდ იმის ზრუნვა-ღა რჩებათ, რომ იმათ შვილებს საჭმელი და ტანთ საცმელი არ მოაკლდეთ ყოველ თვეს და გამოუგზავნონ სკოლის მმართველს შვიდ-შვიდი მანათი თვეში, დღეს ასეთი გულ-გრილობა გამოიჩინეს ქვემოხსენებულ შეგირდების მშობლებმა და მზრუნველებმა. აგიაშვილისა, ჯანდიერისა, მაჭავარიანისა ალექსანდრესი, მაჭავარიანისა ივანესი, ნიკოლაიშვილისა, რამიშვილისა, ხუნდაძესი და ცულაძესი. სულ 137 მან. 80 კაპ., არ—შემოტანილი ამ ყმაწვილების მშობლების მიერ. თუმცა გაზეთით, პირად და კერძო წერილითაც შეიტყეს მშობლებმა და მზრუნველებმა ასეთი გულ-საკლავი მდგომარეობა შეგირდებისა, მაგრამ დღემდე ხელს არ უმართავენ სკოლას, რომ მან სადგურის საქმე კეთილად წარმართოს და თავისი მძიმე მოვალეობა შეასრულოს. ამის გამოისობით მე, როგორც მზრუნველი სკოლისა, უცხადებ ამ გაჭირებას სკოლისას საზოგადოებას და ვთხოვ უმორჩილესად მშობლებსა და მზრუნველებს გამოგზავნონ იმათზედ დარჩენილი ფული, ან დაიბრუნონ ეხლავე ყმაწვილები სახლში. თუ შემდეგშიაც „მშობლები ა'ე მოიქცევიან, მაშინ სადგური დაიკეტება და მშობლებს აღარ ექნებათ უფლება სთქვან, რომ სკოლის კრება თავის დროზედ ჩვენის შვილებისათვის ცუდად ჰზრუნავსო.

მზრუნველი სკოლისა
ი. წინამძღვრიშვილი


### ყმაწვილი კაცი ეძებს გაკვეთილებს

და

ზომიერ ფასად

შეგირდებს ამზადებს გიმნაზიისა, რეალურ და საიუნკრო სასწავლებლისა და ინსტიტუტის ყოველ კლასში შესასვლელად. ჰკისრულობს აგრეთვე რეპეტიტორობასაც. მსურველს ქართულის ენის გაკვეთილებსაც აძლევს. ადრესი იკითხეთ «ივერიის» რედაქციაში. (5—3)

კერძო ექიმი

### პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნერვების სნეულებას, ნერვებას ქარსა და კონტრაქტურას (გაშაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8 მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (10—2)

### ფრთხილად იყავით.

რადგან რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქში ძალიან ხშირად იყიდება

ყალბი რძის ფქვილი ძუძუ-მწოვარა ბავშვთა საზრდოებლად.

მხმარებელთა ყურადღებას მივაქცევთ, რომ ყოველს ბანკას

ჰენრის ნესტლეს ნამდვილ რძის ფქვილისას

ლურჯი ბეჭედი აზის და ხელ-მოწერილია ერთად-ერთის ჩემის აგენტის მიერ მთელს რუსეთში

ჰენრიხ ნესტლე, Bebé-ს (შვეიცარიაში). (6—2)

სააოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

### ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით . . . | 10 მ. | — კ. | 6 | თთვით . . . | 6 მ. | — კ. |
| 11 | „ . . . | 9 „ | 50 „ | 5 | „ . . . | 5 „ | 25 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ | 75 „ | 4 | „ . . . | 4 „ | 70 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ | — „ | 3 | „ . . . | 3 „ | 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ | 25 „ | 2 | „ . . . | 2 „ | 50 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ | 50 „ | 1 | „ . . . | 1 „ | 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცი თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Доз. ценз Тифлисъ, 17-го Августа 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე